

ბიზნესის ეკონომიკა. (ეკონომიკის ფაკულტეტი)
I სემესტრი. 2018-2019 წელი
(ფინალური გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

როდის ჩაეყარა ბიზნეს საფუძველი?

აირჩიეთ ერთი:

- a. კაპიტალიზმის პირობებში;
- b. ფეოდალურ საზოგადოებაში
- c. ბრძანებლურ-საბჭოური ეკონომიკური სისტემის პირობებში;
- d. მეურნეობის საქონლური ორგანიზაციის პირობებში;

კითხვა 2

ბიზნესს აქვს შემდეგი მიზნები:

აირჩიეთ ერთი:

- a. დანახარჯების კომპენსაციისა და შემოსავლების მაქსიმიზაცია და საწარმოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება
- b. ადამიანის მისწრაფება პირადი გამდიდრებისაკენ, დანახარჯების კომპენსაციისა და შემოსავლების მაქსიმიზაცია
- c. ადამიანის მისწრაფება პირადი გამდიდრებისაკენ, დანახარჯების კომპენსაციისა და შემოსავლების მაქსიმიზაცია და საწარმოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება
- d. აცერთი პასუხი არ არის სწორი

კითხვა 3

ბიზნესის გარე მეგა გარემოს აყალიბებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა,
- b. სავალუტო კურსები;
- c. ყველა მათგანი.
- d. ექსპორტ-იმპორტი;

კითხვა 4

ბიზნესის ეკონომიკური გარემო არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. იმ ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომელებიც ზემო ან ქვემო გზით გავლენას ახდენენ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე
- b. იმ ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომელებიც პირდაპირი ან ირიბი გზით გავლენას ახდენენ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე

- c. იმ ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომელებიც პირდაპირი გზით გავლენას ახდენენ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე
- d. იმ ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომელებიც ირიბი გზით გავლენას ახდენენ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე

კითხვა 5

ჩამოთვლილთაგან რომელია დაფინანსების გარე წყარო?

აირჩიეთ ერთი:

- a. აქტივების გაყიდვა;
- b. აქციების რეალიზება.
- c. ამორტიზაციის ფონდი;
- d. ფირმის მოგება

კითხვა 6

მცირე ბიზნესის უპირატესობა არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. არცერთი
- b. საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა.
- c. მოქნილობა, საბაზრო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირება.
- d. მოქნილობა

კითხვა 7

ვის მიერ მუშავდება ბიზნეს გეგმა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბიზნესმენის მიერ
- b. მეწარმისა და მოწვეული კონსულტანტის მიერ
- c. მოწვეული კონსულტანტის მიერ
- d. თანამშრომელთა მიერ

კითხვა 8

რომელ ანგარიშშია ასახული რეალიზაციის სავარაუდო ამონაგები და სავარაუდო საწარმოო ხარჯები;

აირჩიეთ ერთი:

- a. მოგება-ზარალის ანგარიშში
- b. მარკეტინგის სტრატეგიაში
- c. ხარჯთაღრიცხვის ნუსხაში
- d. ბალანსში

კითხვა 9

რა ეწოდება იმ ფასიან ქალაქებს, რომელთაც აქციონერთა კრებაზე ხმის უფლება არა აქვთ:

აირჩიეთ ერთი:

- a. აქციები
- b. ობლიგაციები.
- c. ჩვეულებრივი აქციები
- d. პრივილეგირებული აქციები

კითხვა 10

საწარმოს მოგება არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საწარმოს ერთობლივი გასავალი გაწეული ხარჯების გამოქვითვით.
- b. საწარმოს წმინდა შემოსავალი ანუ ერთობლივი შემოსავალი გაწეული ხარჯების გამოქვითვით.
- c. მიმწოდებელთა წმინდა შემოსავალი ანუ ერთობლივი შემოსავალი გაწეული ხარჯების გამოქვითვით.
- d. მომხმარებელთა წმინდა შემოსავალი ანუ ერთობლივი შემოსავალი გაწეული ხარჯების გამოქვითვით.

კითხვა 11

რა მეთოდებით ახდენს სახელმწიფო ბიზნესის დაფინანსებას

აირჩიეთ ერთი:

- a. პირდაპირი და არაპირდაპირი
- b. გ. მთავრობა გამოყოფს თანხებს
- c. პირდაპირი და ირიბი
- d. ეროვნული ბანკი გამოყოფს თანხას კონკრეტული ბიზნესისთვის

კითხვა 12

თვისება, რომელიც არ უნდა ახასიათებდეს მენეჯერს, არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. პირად ინტერესებზე ზრუნვა;
- b. კომუნიკაბელურობა;
- c. ადამიანების მართვის უნარი.
- d. კომპეტენტურობა;

კითხვა 13

მარკეტინგული ტაქტიკის ელემენტებია

აირჩიეთ ერთი:

- a. კაპიტალდაბანდებანი; სამარკეტინგო საქმიანობის განხორციელების სფერო

- b. კაპიტალდაბანდებანი; სამარკეტინგო საქმიანობის განხორციელების ადგილი
- c. კაპიტალდაბანდებანი; სამარკეტინგო საქმიანობის განხორციელების დრო
- d. კაპიტალდაბანდებანი; სამარკეტინგო საქმიანობის განხორციელების საშუალებები

კითხვა 14

ხელქვეითებზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით მენეჯმენტის მეთოდებია :

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი:

- a. სამივე ერთად
- b. ეკონომიკური
- c. ადმინისტრაციული
- d. მორალურ-ფსიქოლოგიური

კითხვა 15

ოფშორული კომპანია არის ისეთი კომპანია, რომელსაც მინიჭებული აქვს:

აირჩიეთ ერთი:

- a. რეგისტრაციისა და ფუნქციონირების მკაცრი პირობები;
- b. აკრძალული აქვს სამეწარმეო საქმიანობა
- c. რეგისტრაციისა და ფუნქციონირების შეღავათიანი პირობები;

კითხვა 16

გადასახადი ,რომელიც წესდება საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე , რომელსაც უწევს ქვეყნის საზღვრების გადალახვა არის :

აირჩიეთ ერთი:

- a. დღგ
- b. საბაჟო გადასახადი
- c. ქონების გადასახადი
- d. საშემოსავლო გადასახადი

კითხვა 17

დაქვემდებარებულობის მიხედვით გვაქვს შემდეგი სახის გადასახადები:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფო; ადგილობრივი; საზოგადოებრივი; საფირმო
- b. ქვეყნის, ადგილობრივი; საზოგადოებრივი; საფირმო
- c. სახელმწიფო; ადგილობრივი; საზოგადოებრივი; საერთო
- d. სახელმწიფო; რეგიონული, საზოგადოებრივი; საფირმო

კითხვა 18

გადასახადებს გააჩნიათ შემდეგი ფუნქცია:

აირჩიეთ ერთი:

- a. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების გამოთანაბრების ფუნქცია
- b. სახელმწიფო ხარჯების ფინანსური უზრუნველყოფის ფუნქცია
- c. მარეგულირებელი ფუნქცია
- d. ყველა პასუხი სწორია

კითხვა 19

აქციით დასაბეგრს მიეკუთვნება შემდეგი სახის საქონელი:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. სახელწიფოს მეთვალყურეობით წარმოებული
- c. ფასებზე ნაკლებად დამოკიდებული
- d. არაპირველადი და საზოგადოებაზე უარყოფითად მოქმედი

კითხვა 20

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს ეკუთვნის:

აირჩიეთ ერთი:

- a. სამივე ერთად.
- b. სათამაშო ბიზნესის გადასახადი
- c. ქონების გადასახადი
- d. დამატებითი ღირებულების გადასახადი

კითხვა 21

ბიზნეს-რისკების ფუნქციებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. მასტიმულირებელი, ანალიზური, დაცვითი,
- b. მასტიმულირებელი, დასაშვები, დაცვითი, ინოვაციური
- c. მასტიმულირებელი, ანალიზური, დაცვითი, ინოვაციური
- d. მასტიმულირებელი, ანალიზური, თავდასხმითი, ინოვაციური

კითხვა 22

წარმოშობის დროის მიხედვით რისკებს ყოფენ:

აირჩიეთ ერთი:

- a. მიმდინარე, დასაშვებ და პერსპექტიულ რისკებად
- b. რეტროსპექტულ, მიმდინარე და დასაშვებ რისკებად
- c. რეტროსპექტულ, მიმდინარე და პერსპექტიულ რისკებად
- d. რეტროსპექტულ და პერსპექტიულ რისკებად

კითხვა 23

დივერსიფიკაცია ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსური სახსრების ინვესტირებას ერთზე მეტი აქტივების სახით
- b. შრომითი სახსრების ინვესტირებას ერთზე მეტი აქტივების სახით
- c. ფინანსური სახსრების ინვესტირებას ერთი აქტივების სახით
- d. ფინანსურ და შრომით ინვესტირებას ერთზე მეტი აქტივების სახით

კითხვა 24

კორპორაციული კულტურა შეიცავს ორ ძირითად ასპექტს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფასეულობებსა და ღირებულებებს
- b. ფასეულობებსა და პროცედურებს
- c. პროცედურებს და აღიარებებს
- d. ფასეულობებს და შეთანხმებებს

კითხვა 25

ეტიკეტი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საფოსტო მარკა
- b. ადამიანის ქცევის მანერების და წესების თავისებური კოდექსი
- c. საქონელზე დაკრული ხარისხის ნიშანი
- d. საქონლის ფასის მაჩვენებელი ნიშანი